№ 163 აგვისტო 4, ხუთშაბათი 1888 აგვისტო 4, ხუთშაბათი № 163

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდვლლის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888

ტფილისი, 3 აგვისტო

მთელი კახეთი მოდებულია თურმე მილდიუთი, რომელიც ახლად გამოჩენილი სენია ვაზისა და საშინელი სენიც. ამბობენ, რომ ამ სენის გამო წელს კახეთში რთველს თითქმის არც-კი მოელიანო, ვაზს ფოთოლი და მტევანი სცვივა და ამ სახით მოსავალი, სულ მთლად თუ არა, ბევრი და ძალიან ბევრი წილი ხელიდამ ეცლება ვენახების პატრონებსაო. ამ სენზედ ჩვენ გძლად ლაპარაკი გვქონდა ჩვენს გაზეთში: აწერილი იყო მისი ნიშნები, მისი ვითარება, გავრცელება და ნაჩვენებიც იყო მისი წამალიცა. წამალი ნაპოვნია და უებარი წამალიცა და ეხლა მარტო ის-ღა დარჩენია ვენახების პატრონებს, რომ ამ წამალს ხელი ჩაჰკიდონ და დაიხსნან თავიანთი თავი დიდის ზარალისა და ზიანისაგან.

ხოლო ამ წამლობამ რომ უარარაოდ არ ჩაუაროს მცდელს პატრონსა ვენახისას, ჩვენ ამ საგანზედ ზოგიერთს ჩვენს აზრს განვუზიარებთ ჩვენს მკითხველს. ცნობილია, რომ მილდიუ გადამდები სენია და იგი გადააქვს ადგილიდამ ადგილზედ ნიავს და ამ რიგად გადატანილს მტვერს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, თესლს სენისას შეუძლიან მთელი ვენახი სამ-ოთხს დღეს დაასნეულოს. რაკი სენი ამ გზით ვრცელდება, ამიტომაც მარტო ერთს ვენახში წამლობა მაგდენს ვერაფერსა იქმს, რადგანაც შესაძლოა ახლო-მახლო ვენახებიდამ იგივე სენი ხელ-ახლად გადმოიტანოს ნიავმა და ხელ-ახლად გააჩინოს მილდიუ. ამ სახით წამლობა ტყუილ-უბრალოდ ჩაუვლის ნაწამლს ვენახსა. ამ გარემოებას უფრო უსათუოდ უნდა ათხოვოს კაცმა, თუ სურს, რომ ვენახის წამლობამ უქმად არ ჩაუაროს. ესეც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ოცს ვერსზედ ნიავსა და ქარს გადააქვს თესლი სენისა. მაშასადამე, ვენახების გადარჩენისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ წამლობა ვენახისა ყველა ვენახის პატრონებმა ერთს დროს დაიწყონ მთელს იმ ადგილებში, საცა ვენახებია. ეს მით უფრო ადვილია, რომ წამალი ამისი იეფია და თვითონ წამლობა ვაზისა ისეთი მარტივია და ურთული, რომ ხარჯი ბევრი არა არის რა. ამბობენ, ერთს კაცს დღეში შეუძლიან ორის დღის ვენახის ვაზს თვითეულად ცალკე შეასხას წამალიო და წამალიც ისეთი უებარია, რომ სენისაგან გადარჩენა ყოველს ეჭვს გარეშეა.

თუმცა ამ გზით შესაძლოა ვენახის პატრონებმა გადაარჩინონ ვენახები სენისაგან, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ ჩვენი დაუდევრობა, ყველანი არ დაუდებენ თავს ამ საქმესა და ზოგი უწამლებს ვენახებს და ზოგი-კი არა. რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა მთავრობამ სავალდებულოდ გაჰხადოს ვენახის წამლობა და ვინც ამ ვალდებულებას თავის დროზედ არ აასრულებს, მამინ ჯერ პირველად ჯარიმა გადაახდევინონ და ამავე დროს ამის მეთვალყურე მოხელეს ნება ჰქონდეს ვენახის პატრონის ხარჯზედ თვითონ შეუდგეს წამლობას და ხარჯი თავის დროზედ აზღვევინოს ურჩს პატრონსა.

რასაკვირველია, რომ ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ვენახის პატრონებს ხელთმძღვანელი მცოდნე კაცი ჰყვანდეს და ასწავლიდეს როგორ უნდა წამლის ხმარება. გარდა ამისა ადგილობრივვე საჭიროა მცოდნე კაცისაგან წამალი კეთდებოდეს და ამისათვის საჭირო მასალა იქვე ახლოს იყოს საშოვარი. თვით იგი ჭურჭელი, რომელიც წამლის ვაზზედ შესასხავად უკვე არის მოგონილი, ადგილობრივვე უნდა იყოს მიტანილი გასასყიდად, თორემ იმისი შორიდამ დაბარება მეტად გაუძნელებს საქმეს ვენახის პატრონსა.

ყოველივე ეს არავითარს სიძნელეს არ წარმოადგენს. დიდი საქმე არ არის, რომ სავენახე ადგილებში თითო-ოროლა მცოდნე კაცი გაჰგზავნოს მთავრობამ, თუნდა მევენახეების ხარჯით, და ამათ დაავალოს ხელთმძღვანელობა გაუწიონ ვენახის პატრონებსა, თვალყური ადევნონ სოფლის მოხელეების შემწეობით, რომ ყველა ვენახის პატრონმა თავის დროზედ უწამლოს ვენახსა, წამალიც და წამლის შესასხმელი ჭურჭელიც იქავ ადგილას იქონიონ გასასყიდად.

აქ არავითარს ხარჯს არ უნდა შეუშინდნენ ვენახის პატრონები, რადგანაც ხარჯი ამისი მაგდენს არაფერს შეადგენს და მოგება-კი დიდი იქნება, იმიტომ-რომ პატრონს ვენახისას მთელი მისი ნაამაგარი ვენახში უცილებლად შერჩება და ამით გადურჩება უშველებელს ზარალს ამ საშინელის სენისას.

მეტი არ იქნება, რომ თელავ-სიღნაღის თავად-აზნაურობამ ამისათვის საგანგებო კრება შეჰყაროს, შეადგინოს ამ საგანზედ ვრცელი წეს-წყობილება და იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა იგი წეს-წყობილება დამტკიცებულ იქმნას საყოველთაოდ სავალდებულოდ. მთავრობა არ დაიშურებს ორიოდე მცოდნე კაცი მიაშველოს ხელთმძღვანელად ვენახის პატრონებსა და არც გაუჭირდება მთავრობას წამალი და წამლის შესასხმელი ჭურჭელი მიატანინოს გასასყიდად იქ, საცა საჭიროებაა. ჩვენის ფიქრით, ეს ერთად-ერთი გზაა, რომ კახეთი და ერთობ ის ადგილები, საცა მილდიუა გაჩენილი, გადაარჩინონ დიდს ზარალსა და ზიანსა. აქ ერთობით უნდა ბრძოლა, თვითეულად ცალკე კაცი ვერ გაემკლავება ამ სენს და ვერას დააკლებს: შეერთებული ღონე და მცდელობაა საჭირო.

◆

## ახალი ამბავი

⁂ ბ-ნს კ. ყიფიანს შეუდგენია ხვეული და ჩართული ასოები ქარგაზე სახელებისა და გვარების ამოსაკერად. ჯერ-ჯერობით მოუმზადებია 250 ნიმუში. რიმდენიმე ნიმუში ბ-ნმა ყიფიანმა გამოუგზავნა ტფილისში ზოგიერთს ნაცნობებს გასასინჯავად და თუ მცოდნე კაცთაგან მოწონებული იქმნება, დაჰბეჭდავს კიდეცა.

⁂ **სიღნაღიდგან** შემოგვჩივიან, რომ აქაური ბაზარი სრულიად უყურადღებოდ არის დაგდებული და არავინ თვალ-ყურს არ ადევნებს ვაჭრობასა. დუქნების წინ უყრიათ დამპალ-დუმპალი კიტრი, ნესვი და სხვა ხილეულება; ხალხი ძალიან ეტანება ამ ხილეულს და სწორედ ეს არის იმისი მიზეზი, რომ ავადმყოფობა გაჩნდა. ამისდა მიუხედავად პატრონი არ არის, რომ ბაზარზე თვალ-ყური ეჭიროს, მოვაჭრეებიც ალაგმოს და ხალხსაც ააცილოს დამპალის ხილის ჭამა და ავადმყოფობა.

⁂ **სურამი**: ამ ჩვენს მხარეში რა ავ-კაცობა არ გინდათ, რომ არა ხდებოდეს: ქურდობა, დუქნების მტვრევა, საქონლის პარვა, კაცის კვლა და ცეცხლის წაკიდება. ამ მოკლე ხანში ორი კაცი მოჰკლეს, ერთი ჩუმათელეთს და ერთიც ცერონში. ორივე კაცის მკვლელები თავისუფლად დაბრძანდებიან; ჯერ-ჯერობით ვერც ერთი დამნაშავე ვერ აღმოუჩენიათ. ან-კი როგორ აღმოაჩენენ, როდესაც თვალყურის მჭერელნი არაფერს დაეძებენ.

⁂ სოფ. **წევა** (შორაპნის მაზრა): ჩვენმა საზოგადოებამ გარდასწყვიტა, რომ აქაური ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთოს, და უკვე დაიწყეს თავიანთის ხარჯით სკოლის სადგომის შენება ეკკლესიის გალავანთან. ქვედა სართული დღეს აშენებულია, ხოლო მეორე სართული ათის დღის განმავლობაში იქნება მზად. ამ მომავალ ენკენისთვეში სწავლა დაიწყება ახალს სადგომში.

⁂ სოფ. **კარდანახი**: კარგა ხანია მოვერჩით მკასა და კიდეც შემოვიტანეთ კალოებზედ სარჩო დასალეწად. ბევრმა ლეწვაც გაათავა და მიჰმართა სხვა ღონისძიებას სახლობის ზამთარში გამოსაკვებად, რადგანაც იმედმა უმტყუნა ბევრს მოჭირნახულე გლეხსა და ის არ მიიღო წლის მოსავლიდგან, რასაც მოელოდა. წელს სარჩო ძალიან ნაკლებად მოვიდა აქეთ და ზოგნი სრულიად ცალიერნი დარჩნენ. ვინც კიდევ შეუძლებლობისა გამო არცა ჰხნავს და არცა სთესავს და დღე-დღეურად ინახავს თავისს თავსა და ცოლ-შვილს, მომეტებულ გაჭირვებაში იმყოფება. რას იზამს? ჯერ ერთი ესა, რომ სამუშაო ცოტა იყო, და მეორეც ის, რომ ფასი არ ედო მუშა კაცსა. ან-კი რად გაიღებდა მომეტებულს ქირას მუშისათვის ყანის პატრონი, როდესაც წლის მოსავალი თავად არა იყო-რა და რაც იყო, ისიც უვარგი, წვრილ თავთავა და დამშეული. საკვირველი ამინდები დაუდგა გაზაფხულზედ მოსავალს. ჯერ სეტყვამ მირეკა ყანები და მერე აუარებელმა წვიმებმა არა ნაკლები ვნება მიაყენეს. წინადაც ყოფილა სეტყვა, მაგრამ ასე ერთ ნაირად, მხარ-გაბმით-კი არ მოხდება ალაზნის ველსა. თითო-ოროლა მიწა აქა-იქ გადარჩომილიყო, ზოგისათვის ნახევრამდე დაეკრა სეტყვასა, მაგრამ მომეტებული ნაწილი-კი წაელო თანა. ბევრს უხაროდა, რომ ღმერთსა მადლი, ჩვენი მოსავალი მაინც გადარჩაო, მაგრამ სხვა მიზეზმა აუმღვრიათ იმათ დამშვიდებული გული: ამ გაზაფხულზედ აუარებელმა ავდრებმა არა ნაკლები გავლენა იქონიეს სარჩოზედ. წვიმამ იმ დროს აღარ მოუსვენა მოსავალს, როდესაც იგი სრულიადაც არა საჭიროებდა ცის ნამსა და ელოდა მყუდრო მზიანს დღეებს, რომ თავთავი აევსო. ამის გამო დასეტყვილიცა და თავანკარი ყანებიც სულ ერთიან დაიმშივა.

სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდანახის ბოლოზედ, უფრო მცირე მოსავალი მოდის შედარებით, ვიდრე სხვა სოფლებში. კარგა ხანია აქ მცხოვრებლებმა იგრძნეს, რომ მიწას ღალა გამოელია და იმდენი მიწებიც არ არის, რომ აქაურმა გლეხმა ხერხით ისარგებლოს: ერთს წელს ერთი შეასვენოს და მეორე შეამუშაოს, რომ პირველმა მომავალ ნათესეულობისათვის ნაყოფიერება შეიძინოს. ან-კი იცის ეს ხერხი? ადგილები აქ სულ საბატონოა. თვითოეულს გლეხს რაცა აქვს მიზომილი, იმითი სარგებლობს. რასა იქმს, სხვა სახსარი არა აქვს: ერთსა და იმავე მიწას ჰხნავს ყოველ წლივ შეუყენებლივ. ამ გვარად მიწა, რასაკვირველია, იღლება, ძალა ელევა, გლეხიც თუმცა ჰხედავს ცხადად მიწის უღალობას, მაგრამ რას იზამს, სულ არარაობას შრომის ფასს მაინც აიღებს. აქაური გლეხი ამიტომაც უსარჩობის დროს სრულიად ცალიერი რჩება და ამ გვარ შემთხვევაში ძალიან უკან იწევს და თანდათანა ღარიბდება. ჰგრძნობენ კარდანახელნი სახნავ მიწების ნაყოფიერების შემცირებასა და ალაზნის ველის სიმტკუნეს და ამიტომ სახნავ ადგილებს სხვაგან დაუწყეს ძებნა. ზოგმა გომბორის გორაკების ფერდოებში გაკაჰეს ჯაგნარები და შეიტანეს გუთნები ყამირს მიწებში. ფერდობები ყოველ წლივ უფრო და უფრო ტიტვლდება და ოდესმე ჟამთა ვითარება აიტანს გუთნებს თვით უმთავრეს გომბორის თხემამდე. ზოგმა კიდევ დასტოვა კარდანახის სამამულო და ხვნა-თესვას მიჰყვა სხვა ახლო მდებარე სოფლების საუკეთესო სახნავებში: სოფ. ჩალაუბანში, მელაანის ბოლოზე და არაშენდისაკენ. ეს სოფლები გომბორის მთების იქით, დასავლეთისაკენ იმყოფება და ეკუთვნის უკანა მხარს. მიწები იქაც საბატონოა და მოსავლის ნათხალს იქაც აძლევენ აქაურები, მაგრამ სარგებლობა მაინც მეტი სჩანს.

ეხლა კარდანახელებმა უმთავრესი ყურადღება უფრო ვენახის კეთებას მიაქციეს. ვაზიც ძალიანა გვარობს და ღვინოც საკმაოდ კარგი მოდის. ვენახები ერთი-ერთმანეთზედ გაშენებულია სოფლის ბოლოში, ალაზნის ველის ნაპირებზედ, გომბორის მთის ტოტების ძირში და იმათი რიცხვი თანდათანა მატულობს. ბევრი სახნავი მიწები შემოღობეს და ვაზები ჩაჰყარეს. ერთმანეთის მიხედვით გახალისებულებმა კარგა ნაწილი მინდვრისა აქციეს ვენახებად და უფრო ქვევით და ქვევით იწევენ ალაზნისაკენ. ვგონებ, ამ ნაირს მოძრაობას შედეგში მეტი სიკეთე ჰქონდეს აქაურთათვის, ვიდრე სხვა გვარ მუშაობასა. თვითოეული გლეხი თავ-გამოდებით მუშაობს წლითი-წლობამდე ვენახში, რომელიც კარგს მოსავლიანს დროს ბევრჯელ გაახარებს ხოლმე იმისს გულსა. წელს-კი არც ვენახები გადურჩა სეტყვას. ბევრი საუკეთესო ვენახი მიირეკა-მოირეკა, მაგრამ მომეტებული ნაწილი უვნებელი გადარჩა. დაქექილმა ვაზმა ველარ იხეირა, რაც მარცვალი შერჩა, ისიც დაწვლიოკდა და მეორედ გამოვარდნილმა სენმა ისიც ინაცვალა. გაჩნდა ერთბაშად ვენახებში ნაცარი და ავი და კარგი თანაბრად გაჰხადა.

ნაცრიანი მტევანი ზოგი ხეირობს, ცოტათი უმსხვილდება მარცვალი დასამწიფებლად, მაგრამ ზოგი-კი ვერ იტანს, წვენი უშრება და ხმება.

ამ გვარად წელს მინდვრის მოსავლით გულ-ნატკენი სოფლელი ვენახიდგანაც არას მოელის.

⁂ **იქიდამვე**: ივლისი ისე გადის, რომ წვიმა არა ჰღირსებია გოლვისაგან დამწვარს მიწას, რომ ეგები იმითი მაინც გაგრილებულიყო სიცხისაგან ადუღებული მუშის გული და ცოტა რამ შველებოდა როგორათაც ვენახებს, აგრეთვე გაზაფხულის მოსავალს. ამ ცხელს დღეებს ცივი ღამეები მოსდევს ხოლმე და ამ გვარს ჰავას ხომ საშინელი ზედ-მოქმედება აქვს გაუფრთხილებელს ადამიანზე. სხვათა შორის ამიტომაც კარდანახში გავრცელებულია სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა. ჯერ ივნისში გაჩენილმა ყიანახველამ დღევანდლამდე ბევრს თავი არ დაანება. ზოგს ჰლექად გადაექცა და მოაშორა წუთი-სოფელსა. ეხლა კიდევ გახშირდა უდიერი ციებ-ცხელება და ისე დღე არ გავა, რომ არავინ იმსხვერპლოს.

◆

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ახალქალაქი.** ცივ ზამთრისა და გრილის, წვიმიანის გაზაფხულის

შემდეგ ჩვენს სოფელში დადგა ისეთი ცხელი დღეები, რომ თითქმის ტფილისის სიცხეებს არ ჩამოუვარდება. იქაური სიცხეებისაგან გამოქცეული ხალხი—„დაჩნიკები“ მეტად შეგვიწუხა აქაურმა სიცხეებმა. უფრო მეტად შეწუხებულია და დაღონებული აგრეთვე მუშა ხალხი ჩვენს გარეშემო სოფლებში. საცოდავნი შეჰხარიან ხოლმე ზაფხულს და იმისგან მოელიან, საზრდოს მოგვცემს საზამთროდაო, მაგრამ, საწუხაროდ, რაც გაზაფხულის წვიმებმა დააკლო მინდვრის ჰირნახულს, ის შეუსრულა მინდვრის თაგვმა, რომელიც ისე გამრავლდა, რომ იმისი ნაზარალევი კალიის ნაზარალევს აღარ ჩამოურჩება. ერთს დღიურს ძლივს ხუთი კოდი აუვა. ზოგან ისეა წამხდარი ჰირნახული, რომ მარტო საბალახოდ სთიბავენ, ზოგან თავსაც ანებებენ. ცოტაოდენს იმედს სიმინდი გვაძლევს. გასაყიდი, რასაკვირველია, არავის ექნება, მარტო სიმშილობიდამ თუ გამოიხსნის ხალხს. ვენახებსაც ძალიან თხლად ასხია, თუმცა ავადმყოფობა ვაზისა არ არს.

მართალია, ამ გაზაფხულმა არაფერი გასამხიარულებელი არა მოგვცარა, მაგრამ ჩვენი სოფელი მაინც თავისას არ იშლის და კვლავინდებურად მხიარულობენ, სიამოვნებით ატარებინებენ დროს ტფილელს სტუმრებს და აეიწყებინებენ სიცხეებს. ამ გართობაში არ ივიწყებენ საქველ-მოქმედო საქმეებს, რისთვისაც ჰმართავენ წარმოდგენებს.

ამ ცოტა ხანში გაიმართა ორი წარმოდგენა. პირველი წარმოდგენა იყო გამართული, ახლად რო არსდება საქალებო სკოლა, იმ სკოლის სასარგებლოდ. მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ნიჭიერმა არტისტმა ქალმა გაბუნია-ცაგარლისამ, ბ–ნმა ნებიერიძემ და ივ. ცაგარელმა. ითამაშეს „ხანუმა“. გაბუნიას, რა თქმა უნდა, ქება არ ესაჭიროება. სად არ არის იმის ნიჭიერს თამაშობაზედ ხმა გავარდნილი? ჩვენმა გლეხ-კაცებმაც-კი იციან, გაბუნია ვინ არის. ვიტყვი მარტო იმას, რომ საზოგადოებამ შეძლებისდა გვარად კარგად მიიღო პირველ გამოსვლაზედვე ჩვენს პატარა, მაგრამ ლაზათიანად გაკეთებულს სცენაზედ. მიართვეს ყვავილების თაიგული და საჩუქრები, სხვათა შორის, ერთი ბრილიანტის ბეჭედიც. ამ წარმოდგენამ ისე სასიამოვნოდ იმოქმედა ხალხზედ, რომ საზოგადოება მოუთმენლად ელის ექსს მარიამობისთვეს, რადგანაც გაიგო, რომ მაშინ იქნება კიდევ წარმოდგენა გაბუნია-ცაგარლის შემწეობით იმავე სკოლის სასარგებლოდაო.

24 მკათათვეს გაიმართა წარმოდგენა აქაურის სცენის სასარგებლოდ. სცენა ვერ იყო კარგად მორთული და ვერც თამაშობა გამოვიდა კარგად ამისი მიზეზი ის იყო, რომ მოთამაშეებმა ძალიან სუბუქად მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი, თითქო მარტო იმისთვის არდგენდნენ წარმოდგენას, რომ შეაგროვონ ფულები, და მოიპოვებს საზოგადოება სიამოვნებას თუ არა, სულ ერთია. მოთამაშენი არ იყვნენ რიგიანად მომზადებულნი; უკანასნელს კვირაში სამჯელ გამოსცვალეს სათამაშებელი პიესა. რა თქმა უნდა, რომ როლი არავის ეცოდინებოდა. ითამაშეს „ძუნწი“, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ თითქმის ზეპირად იცის, და ამიტომ ძალიან კარგი მოთამაშეები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ესიამოვნებინათ საზოგადოებისათვის.

აქ არ შემიძლიან არ მოვიხსენიო ერთი გარემოებაც. მესამე წელიწადია, რაც აქ სცენის სასარგებლოდ იმართება წარმოდგენები და ამ ნაირად გროვდება ფულები. მაგრამ არც წინად და არც ეხლა ისე არ გამართულა წარმოდგენა, რომ შემოსავლიდამ კიდევ ორი და სამი თუმანი არ დახარჯულიყოს სცენის გასამართავად. საინტერესოა ვიცოდეთ, სად არის, ან ვისთან ინახება ის მასალა და სცენის მოწყობილობა, ან ვის აბარია სცენის სასარგებლოდ შემოსული ფული?!

ახალქალაქელი

* * *

**სოფ. ჯავახეთი.** სოფ. კოთელიიდგან ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს, ერთის ვერსის მანძილზედ, მდებარეობს აოხრებული სოფელი მურჯი, სადაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უცხოვრნიათ ქართველებს. მურჯი მდებარეობს ერთის ქვიანის გორაკის კალთებში და თვით ამ გორაკის ზედ კენწეროზედ აშენებულია ციხე-სიმაგრე, რომელსაც სიგრძე ექნება თორმეტი ალაბი და სიგანე 6 ალ. ეს სიმაგრე ამ ჟამად მთელი აღარ არის, არამედ მახლობელ სოფლებს დაუნგრევიათ და ქვები გაუზიდნიათ შენობისათვის. ამავე გორაკს, ციხის დასავლეთით, პატარა მოედანი აქვს, სადაც აქა-იქ მოსჩანან ძველი სასაფლაოები. მურჯში ნასახლარები დღემდე მკაფიოდ მოსჩანან; ამისის კედლების ნაშთიც ჰმოწმობს, რომ ერთს ადგილას, შიგ შუაგულს სოფელში, როგორც ეტყობა, ყოფილა ზეთის სახდელი სახლი. ამ ადგილას ეხლაცა გდია ერთი დიდი მრგვალი, წისქვილის თვლის მსგავსი შავი ქვა, რომელიც ზეთის სახდელი ქვა უნდა იყოს. თვითოეულის ნასახლარის წინ ყოფილა კალოები და შიგ თვითოეულს კალოში ეხლაც იპოვება ქვითკირის პურის ორმოები. კალოები შემოზღუდულია დიდ-დიდის ქვებით. ამ სოფელს ეკკლესია ჰქონია იქვე მახლობლად, ერთს პატარა მაღლობს ადგილზე, სადაც ნაეკკლესიარი მოსჩანს. გარშემო სასაფლაოები ყოფილა. ამ სასაფლავებზედ ეხლა სამი საფლავის ქვა მოსჩანს და ზედ დახატულია თევზები. ეკკლესიის მახლობლად და სიმაგრის გარშემო ქვებზე არაფითარი წარწერა არა სჩანს.

სამხრეთის მხარეს მურჯიდგან, პატარა ხევს გაღმა, კიდევ ერთი პატარა მოგრძო გორაკია. ამ გორაკზედ ძველი სასაფლაოა, სადაც თითქმის ას ორმოცი საფლავია. ერთს ქვაზედ დახატულია ჯვარი, რომელიც სულ ჩუქურთმით არის ამოღებული და ჯვარს გარეშემო შემოვლებული აქვს მრგვალი გორგოლას მსგავსი ხაზი. ამ ჯვრის ქვემოდ დახატულია დამბაჩა, ხანჯალი, ხმალი, კაცის თავი და სხვა და სხვა. ერთს სხვა ქვაზედაც გამოსახულია სვეტებით და ჩუქურთმით შემკული ჯვარი. ამ ჯვარს ქვემოდ წარწერაა, რომელიც მიწას დაუფარავს, აი ის წარწერა:

**ႭႨ... Ⴈ... Ⴕ... ႭႨႰ.... ႼႵ ႿႸႵ ႫႨႱႨ ႨႷႨႰႨႱ......**

კიდევ ბევრი ამ გვარი წარწერაა, მაგრამ ძალიან ძნელი წასაკითხია...

საზოგადოდ ამ გვარი ძველი ნაშთი ბლომად იპოვება ჩვენს ჯავახეთში და კარგი იქნება, რომ ჩვენი არხეოლოგები ყურადღებას მიაქცევდნენ.

ვ. კოპტონაშვილი

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის გაზეთის შემწეობით გამოვუცხადო უგულითადესი მადლობა კათოლიკეთა მოძღვარს დონ დიმიტრი თუმანიშვილს და პოლკოვნიკს ნიკოლოოზ იასეს ძეს თუმანიშვილს, რომლებმაც სოფელ ხელთუბანში სკოლის აშენებლად ფულით შემწეობა აღმომიჩინეს.

სოფ. ხელთუბნის სკოლის მზრუნველი
ან. თუმანიშვილი

◆◆

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** სენის დეპარტამენტის მასწავლებელმა ქალებმა და კაცებმა წვეულება გაუმართეს საერო განათლების მინისტრს ლოკრუას. წვეულებაზე ლოკრუამ სთქვა, რომ სენატი დაიწყებს თუ არა მუშაობას მომავალს სესიაში, პირველ საქმედ განიხილავენ კანონს მასწავლებლების შესახებაო. ამასთანავე მინისტრმა განმარტა, რომ მთავრობა სცდილობს განაკარგოს მდგომარეობა და ყოფა-ცხოვრება საერო სკოლების ოსტატებისა იმდენად, რამდენადაც შეიცვალა ის საზნეობა ვითარება, რა ვითარებაშიაც უნდა იყოს დღეს მასწავლებელიო. ბოლოს მინისტრმა ასე დაასკვნა თავისი ლაპარაკი: „ჩვენ დიდ-ძალს ფულსა ვხარჯავთ ჯარისა და ფლოტისათვის. ეს ფული, რასაკვირველია, დასანანი არ არის. მაგრამ ამასთანავე საერო განათლებისათვისაც ბევრს დავუწყებთ ხარჯვასა, იმიტომ-რომ საერო განათლებაც იგივე იარაღია ბრძოლისა და ღონეა გამარჯვებისა. არ შეიძლება სიძუნწე იქ, სადაც ადამიანის ჭკუა-გონების განათლებაზეა საქმე მიმდგარი. მომჭირნეობა დიდი ცოდვა და დანაშაულია, თუ ამ მომჭირნეობას მოსდევს ადამიანის ჭკუა-გონების სიბნელე“.

**გერმანია.** ამ დღეებში აურჩევიათ ახალი რექტორი ბერლინის უნივერსიტეტისა. კანდიდატებად ორნი ყოფილან: ერთი გამოჩენილი პროფესორი და მოღვაწე პარლამენტისა რუდოლფ ვირხოვი და მეორე ჰერგარდტი, რომელსაც დიდი მონაწილეობა ჰქონდა იმპერატორის ფრიდრიხის მკურნალობაში. შარშან ვირხოვი არ აირჩიეს, და, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, საპოლიტიკო მიზეზების გამო. ყველას უკვირდა, ნუ თუ იმისთანა პატივსაცემი დაწესებულება, როგორიც არის ბერლინის უნივერსიტეტის მეცნიერთა კრებული, საპოლიტიკო მიზეზებსა და მოსაზრებას გამოუდგაო. ზოგნი ამბობენ, რომ შარშან ვირხოვი ეგვიპტეში მიდიოდა სამეცნიერო აზრითა და, რომ ამოერჩიათ, უნივერსიტეტი რამდენსამე თვეს ურექტოროდ დარჩებოდაო. წელს კიდევ ვირხოვს არ აღირსეს არჩევანი და წელსაც იმავე საპოლიტიკო მოსაზრებას აბრალებენ იმისს აურჩევლობას. თუ მართლა აქ პოლიტიკა არ არის მიზეზი, წელსაც ხომ არსად არ მიდიოდა ვირხოვი, რომ მაინც კიდევ არ აირჩიეს და იმას ამჯობინეს ისეთი კაცი, როგორიც არის ჰერგარდტიო.

— ანტისემიტს და კონსერვატორს პიკენბახს უთქვამს ბერლინის მე-6 უბნის არჩევანებზედ: „მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ამ უბნის კანდიდატის სოციალ-დემოკრატის ლიბკნეხტის აზრები განხორციელდა, ჩვენი სამშობლო დაიღუპება. აქ ისეთი სიტყვები წარმოითქვა, რომელიც თავგასულობით სავსე წერილებს გვაგონებს ევგენი რიხტერისაზე (ისმის ხმაურობა და სტვენა). ჩვენ თქვენი, სოციალ-დემოკრატებისა, მოწინააღმდეგენი ვართ, ვზრუნავთ საწყალის კაცისათვის და ისეთს კანონებს ვაწესებთ, რომელსაც დიდი სიკეთე მოაქვს მუშა ხალხისათვის. თქვენ გაიძახით, რომ საყოველთაო, ყველასთვის თანაბარი საარჩევანო უფლებაა სიკეთეო. მაგრამ ვინ მოგცათ ეგ უფლება? ბისმარკმა! (ჰყვირიან: არა, არა!) თქვენ ნამდვილი გერმანული პატრიოტობა არა გაქვსთ. ხოლო ჩვენ-კი გვინდა, რომ გერმანია, ჩვენთა მამა-პაპათა სისხლით დაცული, გერმანელებსავე გვეკუთვნოდეს“. ამ დროს ავიდა კათედრაზე რედაქტორი საერო გაზეთისა ბააკე და სთქვა: „ჩვენ ვიცით, რისთვისაც მოდიან ჩვენს კრებაზე იმისთანა ვაჟბატონები, როგორიცა ბრძანდება პიკენბახი: ჩვენ უიმისოდაც გაჭირებით შევკრიბებით ხოლმე და ეგენი-კი იმიტომ მოდიან, რომ მღელვარება მოახდინონ და პოლიციას საბაბი მისცენ, ჩაერიოს ჩვენს საქმეში და დაგვიშალოს კრება. ამიტომ, გთხოვთ მეგობრებო, წყნარად იყავით, ნუ აღელდებით ნუ მისცემთ მიზეზს, რომ დაშალონ კრება. პიკენბახი ბრძანებს მამულიშვილობასა დი სამშობლოს სიყვარულზე. თუ ამ სიტყვებით ეროვნულს ტრაბახსა და სხვათა ერთა უპატივცემულობას ვიგულისხმებთ, მაშინ ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ თითოეულს ერზე მაღლა კაცობრიობა სდგას. და ან-კი როგორ უნდა იყოს გატაცებული მამულიშვილი გერმანელი მუშა-კაცი, როცა იმისთვის სულ სხვა და განკერძოებული სასტიკი კანონი მოქმედობს?..“ ამ სიტყვების თქმა იყო და გაჩნდა პოლიციელი, დაიხურა მუზარადის მსგავსი ქუდი და გამოაცხადა, კრება დაიშალაო. დაიწყეს საშინელი ყაყანი, ყვირილი და სტვენა...

◆

# დეპეშა

3 აგვისტო

**პეტერბურგი.** „Journal de St.-Pétersbourg“-ი, ამბობს, რომ რომიდგან მიღებული ცნობა, ვითომ რუსეთს სხვა სახელმწიფოებთან ერთად გამოუცხადებია, რომ მასოვის კაპიტულიაციები კანონიერი არ არის და უარ-ყოფილ უნდა იქმნასო, მართალი არ უნდა იყოსო. გაზეთი უმატებს, რომ რუსეთი მასოვის კაპიტულიაციების წინააღმდეგი არ იქნება, თუ ამ აზრს დაადგებიან სხვა სახელმწიფოებიც. ის პრინციპი, ვითომ კაპიტულიაციებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განათლებული სახელმწიფო დაიჭერს რომელსამე ქვეყანას, სადაც კაპიტულიაციები მომხდარა, სრულიად ახალი პრინციპია. რამდენადაც ვიცით, ეს პრინციპი არსად არ არის შეწყნარებული და არც საბაასო საგნად გაუხდიათ.

**სტამბოლი.** იმის გამო, რომ მასოვა იტალიამ მიითვისა, სულთანი ძალიან გულ-ნატკენია და არ უნდა დაამტკიცოს სუეზის კონვენცია. როგორც ისმის, რუსეთის ელჩმა გამოუცხადა ოსმალეთის მმართებლობას, რომ რუსეთი არასოდეს არ დასთანხმდება იმაზე, რომ იტალიამ მასოვა დაიჭიროსო.

ოსმალეთის მმართებლობამ უნდა ისესხოს 34,000,000 ფრანკი 70% კურსის ანგარიშით. ნახევარი ამ ჯამისა ოტომანის ბანკმა უნდა ასესხოს და ნახევარიც გალატის ბანკმა. ამბობენ, რომ ამ გვარი პირობა ოსმალეთისათვის კარგია .

მმართებლობამ ნოტა გაუგზავნა მასოვის საქმის შესახებ თავისს წარმომადგენლებს სხვა-და-სხვა სახელმწიფოებისათვის გადასაცემად.

გუშინ აქ პირველად მოვიდა მატარებელი ვენიდგან. ამ მატარებელმა გზად გამოიარა სერბია და ბულგარია.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 96 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $161^{1}/_{2}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 20 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . | 271 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 251 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
აგვისტო 31 დღით არის.

4 დღე ხუთშაბათი. შვიდთა ყრმათა ეფესში წამებულთა. კათოლ. პატრ. ისაკისა. სომეხ. წინას.-მეტყ. ისაიასი. მუსულ. მე-8 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 6—57. მთვარე 10 დღისაა.

◆

ხმარება მხოლოდ
კიოლერის ზეთისა და ფხვნილისა
შინაურის თითბრისა და სპილენძის ავეჯის გასაწმენდად (მაგალითებრ: სამოვრებისა, კლიტეებისა და სხ.) უფრო საუკეთესო სახსარია, ვიდრე სხვა ამ გვარი რომელიმე საშუალება.
ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კიოლერთანა და ამხ., ნიკოლსკის ქუჩაზედ. 3—2 (ც.)

Доз. ценз. Тифлисъ, 3-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე